„ვამტკიცებ"
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჭადრაკის ფედერაციის
პრეზიდენტი სალომე მელია

# აჭარის ჩემპიონატი ელვისებურ ჭადრაკში ვაჟთა და ქალთა შორის

**ქ. ბათუმი, 20 დეკემბერი, 2025 წ.**

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**ტურნირის ორგანიზატორი: აჭარის ჭადრაკის ფედერაცია;**
**ტურნირის ფინანსური მხარდამჭერი: აჭარის სპორტის დეპარტამენტი;**
**ჩატარების ადგილი:** მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე.
**მის: ლეონიძის 15.**

**ჩატარების სისტემა:** ჩემპიონატი ჩატარდება ფიდეს წესებით, შვეიცარული ან წრიული სისტემით 7 ტურად. აუცილებლობის შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემას განსაზღვრავს ორგანიზატორი.
ტურნირში ფიდე-ს რეიტინგის დათვლა განისაზღვრება მონაწილეთა რეგისტრაციის დასრულების შემდეგ.

**მონაწილენი: საქართველოს მოქალაქეები აჭარის ყველა მუნიციპალიტეტიდან.**

**დროის კონტროლი:** თითოეულ მონაწილეს მიეცემა 5 წუთი პარტიის ბოლომდე, თითოეულ სვლაზე 3 წამის დამატებით.

**თაი-ბრეიქი:** თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში გამარჯვებულები გამოვლინდებიან კოეფიციენტის შემდეგი სისტემით:

შვეიცარული ტურნირის დროს:
1. ბუჰგოლცი -1 (უდაბლესის გამოკლებით);
2. ბუჰგოლცი;
3. ურთიერთშორის შეხვედრა;
4. მოგებების რაოდენობა;
5. პროგრესი (რეგრესით).

წრიული ტურნირის დროს:
1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. მოგებების მეტი რაოდენობა;
3. ზონებორნ-ბერგერის კოეფიციენტი;
4. თუ ყველა მაჩვენებელი თანაბარია, ფიდეს წესების მიხედვით ჩატარდება დამატებითი მატჩები.

**რეგისტრაცია:**

რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია 19 დეკემბრის 19:00 საათამდე.

მონაწილეებმა რეგისტრაციისთვის უნდა შეავსონ შემდეგი ანკეტა:

https://forms.gle/j5KfET43Btme9QCN7

დაგვიანებული რეგისტრაციის შემთხვევაში მონაწილის ტურნირში დაშვებას წყვიტავს ორგანიზატორი.

**ტურნირის განრიგი:**

ტურნირის გახსნა - 20 დეკემბერი, 15.30 სთ.
I ტური დაიწყება 16:00 სთ-ზე, ყოველი მომდევნო კი თითოეული ტურის დასრულების შემდეგ.
ტურნირის დახურვა - 20 დეკემბერი 19:00 სთ.

**გამარჯვებულები:** - I, II, III საპრიზო ადგილზე გასული მოჭადრაკეები, როგორც ვაჟთა, ასევე ქალთა შორის, დასახელდებიან აჭარის ნაკრების წევრებად და დაჯილდოვდებიან მედლებით, დიპლომებითა და ფულადი პრიზით. ჩემპიონებს ასევე გადაეცემათ თასი. ფულადი პრიზი დაიბეგრება საქართველოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

| **ვაჟთა შორის:** | **ქალთა შორის:** |
| --- | --- |
| I ადგილი - 150 ლ. | I ადგილი - 150 ლ. |
| II ადგილი - 130 ლ. | II ადგილი - 130 ლ. |
| III ადგილი -100 ლ. | III ადგილი - 100 ლ. |

**ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო დიდოსტატი სალომე მელია**